პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 148 (4658)

1972 წ. 30 ივლისი, კვირა. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ზევსის ტაძართან აანთო ოლიმპიური ცეცხლი

ათენი, 28 ივლისი. დღეს შუადღისას ანტიკური ოლიმპიადების სამშობლოში — ოლიმპიაში აანთეს XX ოლიმპიური თამაშების ცეცხლი. როგორც ცნობილია, ეს გრანდიოზული სპორტული ასპარეზობა ოთხი კვირის შემდეგ გაიხსნება მიუნხენში.

ტრადიციისამებრ, ოლიმპიური ცეცხლის ანთების ცერემონიალი ზევსის ტაძრის ნანგრევებზე მოეწყო... მართალია, მზე დროდადრო ღრუბლებს ეფარებოდა, თეთრ ტუნიკში გამოწყობილმა მსახიობმა მარია მოსკოლიუმ გამადიდებელი შუშის დახმარებით ოლიმპიური ცეცხლი აანთო. შემდეგ მოსკოლიუმ ჩირაღდანი გადასცა პირველ მორბენალს იმ 5 ათასზე მეტი კაციდან, რომლებიც ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს გზებზე ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტის მონაწილენი იქნებიან.

26 აგვისტოს ამ ჩირაღდნიდან მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე ოლიმპიური ცეცხლი დაინთება.

## ი. გაგარინის III მემორიალი





გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ი. გაგარინის III მემორიალის [illegible] დევ ორი მატჩი: სსრ კავშირი (ახალგაზრდული) — [illegible] (52:37) და სსრ კავშირი (ოლიმპიური) — საქართველო 81:74 (41:32).

• • •

სურათებზე: თანაგუნდელები ამჯერად მეტოქეები არიან. მ. ქორქია (მარცხნივ) სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის ღირსებას იცავს, ვ. უგრეხელიძე კი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გამოდის. უჩვეულო ვითარებაა. მაგრამ ქორქია ცდილობს ხელი შეუშალოს თავის მეგობარს.

ფინელი კალათბურთელები პირდაპირ შეაკრთო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების სწრაფმა იერიშმა. ეს შეტევა მორიგი ორი ქულით დამთავრდა

მ. ზარგარიანის ფოტოები.

## ტურისტულ ბილიკებზე

### ნავებით ხვარაზმის ოლქში

უზბეკეთის ქალაქ ურგენჩის ტურისტებმა ორადგილიანი რეზინის ნავებით ექვს დღეს იმოგზაურეს ტბების კოლექტორზე. ეს 150-კილომეტრიანი ცისფერი ტრასა ამას წინათ აღადგინეს. ზოგან მისი სიგანე 100 მეტრს აღწევს, სიღრმე კი 5 მეტრს.

კოლექტორი ძველი ტბების ჯაჭვს მიჰყვება. განახლებულმა ხელოვნურმა მდინარემ ბევრი მოგზაურობის მოყვარული მიიზიდა. „პირველდამპყრობთ" № 167 სამშენებლო ტრესტის ინჟინრის ი. ტიმოშკინის ხელმძღვანელობით არა მარტო განსახილველად წარმოადგინეს ახალი მარშრუტი, არამედ სპეციალურ რუკაზეც აღნიშნეს ჰიდროტექნიკური ნაგებობები, სადაც ნავების გადატანაა საჭირო. მონიშნეს ღამისთევისა და სათევზაო ადგილებიც. ამ მოგზაურობამ სათავე დაუდო მასობრივ საწყლოსნო ტურიზმს ხვარაზმში.

ურგენჩი.

### დიდებული ზღვა

ციმბირის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ბურიატეთის ულამაზეს კუთხეში, სოფელ მაქსიმიხოს მახლობლად მდებარე ტურბაზამ პირველი დამსვენებლები მიიღო. ლამაზ შემოგარენში, სადაც ტაიგის პატარა მდინარე დუხოვაია ბაიკალს ერთვის, მოგზაურებს ფართო ასპარეზი აქვთ გადაშლილი. მაგალითად, ერთი მარშრუტი ტბის სანაპიროს გასწვრივ, ციცაბო კლდეებში და ტყეებში, ბუნებრივი ცხელი წყაროების გასწვრივ გადის.

ეს ჯერჯერობით მეორე ტურისტული ბაზაა ბურიატთა სტუმრებისთვის, რომელთაც სურთ შევბულება ბაიკალის ტბაზე გაატარონ. განზრახულია კიდევ ერთი პანსიონატის აგება. ამასთან, გაფართოვდება უძველესი ტურბაზა ბაიკალის სამხრეთ ნაპირზე. კოტოკელის ტბაზე, რომელიც ამ მხარეში თევზით არის განთქმული, დაიწყო ახალი სპორტული ბაზის მშენებლობა.

ი. ბუდაევი.

ულან-უდე.

### მზიანი ღამეების მარშრუტი

მოსკოველი მუშები და სტუდენტები კოლის ნახევარკუნძულზე პირველნი იმოგზაურებენ ახალი საკავშირო ტურისტული მარშრუტით — „წყლის იმიერპოლარეთი". 10 დღის განმავლობაში ისინი ექვსნიჩბიანი ნუშა ნავებით გაივლიან 168 კილომეტრს, ეწვევიან ზედა ტულომის წყალსაცავს, გადალახავენ რამდენიმე მდინარეს და უამრავ ტბას (სხვათა შორის, მურმანსკის ოლქში 300 ათასზე მეტი ტბაა).

ტურისტები ნახავენ ლამაზ ჩანჩქერებს, ვერხნეტულომსკის უნიკალურ მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურს, ითევზავებენ, ინადირებენ, დაისვენებენ იმიერპოლარეთის განუმეორებელ მზიან მხარეში.

ვ. ზასუხინი.

მურმანსკი.

## საჯელი მოლოდინში

## მედლების ბოლო კომპლექტი

ტალინი, 28 ივლისი. მოფარიკავეთა აქ გამართული საკავშირო ჩემპიონატის მედლების ბოლო კომპლექტი დაშნის ოსტატთა გუნდებმა გაითამაშეს. „კალევის" სპორტის სახლის საფარიკაო ბილიკზე შეიარაღებული ძალების მუშკეტერთა გუნდმა კიდევ ერთ შესანიშნავ წარმატებას მიაღწია: ოქროს ნადავლი მოიხვეჭა. არმიელთა გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: კიეველები გ. კრისი, ს. პარამონოვი, ალმაათელი ი. ვალეტოვი, ვორონეჟელი ვ. მოძოლევსკი და ფრუნზელი ვ. დონინი. საერთო გუნდურ ჩათვლაში არმიელ მოფარიკავეებს 181 ქულა დაუგროვდათ, II ადგილზე გასულ დინამოელებზე 70 ქულით მეტი.

დაშნის ოსტატთა გუნდურ შეჯიბრებაში II ადგილი დაიკავეს დინამოელებმა, ხოლო III — ბურევესტნიკელებმა (ამ უკანასკნელთ საერთო გუნდურ ჩათვლაშიც მესამე შედეგი აქვთ — 82 ქულა).

## სამეჯლისოდ სტარტისთვის

### გორი

რაიონის მოსწავლეთა კროსი საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. ჭაბუკები 3000 მეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, გოგონები — 1000 მეტრზე. სტარტზე 180 სპორტსმენი გამოვიდა. დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენეს ატენის, ძევერის, სკრის, მეჯვრისხევის, ქვახვრელის, ყელქცეულის, ნიქოზის, ქვეშისა და სვენეთის მძლეოსნებმა.

• • •

მშდ ახალი კომპლექსის ზოგიერთი ნორმატივი ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნებზე რაიონის 1800-ზე მეტმა მოსწავლემ ჩააბარა. ბევრმა სათანრიგო ნორმატივებიც შეასრულა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქვეშის, სკრის, ატენის, ხიდისთავის, მეჯვრისხევის, ქვახვრელისა და ყელქცეულის ფიზკულტურელები.

გ. მთვარელიძე,
სპორტსკოლის დირექტორი.

## მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

• •

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ბოლო დღეს იასპარეზეს ველოსიპედისტებმა, მძლეოსნებმა, მოცურავეებმა, მოჭადრაკეებმა და ფეხბურთელებმა.

საქართველოს ველოსიპედისტებმა 100 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში VI ადგილი დაიკავეს: ჩამორჩნენ ყაზახეთის, რსფსრ-ს, აზერბაიჯანის, ლენინგრადისა და უკრაინის სპორტსმენებს. ჩვენმა კოლექტივმა საერთო გუნდურ ჩათვლაშიც VI ადგილი დაიკავა. თუ გავითვალისწინებთ, რომ წინა სპარტაკიადაში (ერევანი) საქართველოს ველოსიპედისტები XV ადგილს დასჯერდნენ, წინსვლა საგრძნობია.

საქართველოს მძლეოსნებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, წინა დღეებში მოპოვებული პოზიციები არ დათმეს და საბოლოოდ დამკვიდრდნენ III ადგილზე. საერთო გუნდურ ჩათვლაში მათ 41064 ქულა დააგროვეს. I ადგილზე გავიდნენ უკრაინის წარმომადგენლები — 48807 ქულა, II — რუსეთის ფედერაციის მძლეოსნები — 44381. საინტერესოა ვინ და ქულათა რა მარაგით დაიკავა მომდევნო სამი ადგილი: 4. მოსკოვი — 40541, 5. უზბეკეთი — 38898, 6. ყაზახეთი — 38772.

## დადგა საგულდაგულო ანალიზის დრო

საქართველოს მოსწავლე მძლეოსნებს (და განა მარტო მოსწავლეებს) ახეთი დიდი წარმატებისთვის ჯერ არ მიუღწევიათ.

საპრიზო ადგილები ხელიდან გაუშვეს ჩვენმა მოჭადრაკეებმა და ფეხბურთელებმა. მოჭადრაკეებმა ბოლო მატჩი წააგეს (ბელორუსიის გუნდთან — 1:7) და V ადგილს დასჯერდნენ, ფეხბურთელები კი მოსკოველებთან შეხვედრაში დამარცხდნენ (0:1) და VI ადგილზე არიან.

ყველაზე უხეიროდ ჩვენი მოცურავეები გამოვიდნენ. საკმარისია ითქვას, რომ მათ ქულაც ვერ მიიღეს და გუნდურ ჩათვლაშიც კი ვერ მოხვდნენ. აღსანიშნავია, რომ ჩასათვლელი ქულები სპარტაკიადაში მონაწილე 17 კოლექტივიდან ცურვაში 14 ნაკრებმა მიიღო და სამწუხაროა, რომ ამ თოთხმეტში საქართველოს მოცურავეებს ვერ ვხედავთ.

მოგაგონებთ საქართველოს ნაკრები გუნდების ადგილებს. ამავე დროს, ფრჩხილებში ნაჩვენებია რომელ ადგილზე ვიყავით წინა სპარტაკიადაში: მძლეოსნობა — III ადგილი (IX), აკრობატიკა — IV (VI), კალათბურთი (ადგილი გამოყვანილია გოგონათა და ჭაბუკთა შედეგების ჯამით) — IV (IX), ხელბურთი (ადგილი გამოყვანილია ისევე, როგორც კალათბურთში) — IV (VII), ფრენბურთი (ისევე, როგორც კალათბურთსა და ხელბურთში) — V-VI (VII), ჭადრაკი — V (VI), ველოსპორტი — VI (XV), ფარიკაობა — VI (I), ფეხბურთი — VI (IV), სპორტული ტანვარჯიში — VII (IV), მხატვრული ტანვარჯიში — IX (X), ტყვიის სროლა — XI (IV), ცურვა — გუნდს ადგილი არ მიეკუთვნა (VII).

ამჯერად სპარტაკიადაში კომპლექსური შედეგები არ ჯამდებოდა, მაგრამ არაოფიციალური ჩათვლით საქართველოს სპორტული დელეგაცია V ადგილზეა. აღსანიშნავია ისიც, რომ IV ადგილზე გასულმა ლენინგრადელებმა სულ რაღაც 3 ქულით გვაჯობეს.

მაშ ასე, სპარტაკიადამ ცხადყო, რაში ვართ ძლიერი და რაში სუსტი. ახლა მოპოვებული წარმატებებისა თუ შენიშნული ნაკლოვანებების საგულდაგულო ანალიზის დრო დადგა. ჩვენი აზრით, კარგი იქნება ამ საკითხეზე საუბრისთვის მწვრთნელებმა და ბავშვთა სპორტის მესვეურებმა „ლელოს" ფურცლები გამოიყენონ. ყველაზე უწინ ხომ მათ უნდა გამოიტანონ დასკვნები და სამერმისო გეგმებიც დასახონ.

ჯ. ენუქიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

კიევი — თბილისი.

[illegible]

**ასპინძა**

რაიონის მოსწავლეთა VII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ჭადრაკსა და ტყვიის სროლაში ასპინძელებმა მოიგეს.

• • •

ჩატარდა რაიონის სოფლის სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრება მძლეოსნობაში. ტურნირში 10 სკოლის 200-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. გუნდური I ადგილი წილად ხვდათ სოფელ იდუმალის რვაწლიანი სკოლის მძლეოსნებს (მწვრთნელი ვ. აფციაური) — 381 ქულა. II ადგილზეა სოფელ საროს რვაწლიანი სკოლის გუნდი (მწვრთნელი შ. გოგოლაძე) — 244, III — სოფელ რუსთავის რვაწლიანი სკოლის ნაკრები (მწვრთნელი ვ. კონსტანტინოვი) — 174 ქულა. 55 მოსწავლემ შეასრულა სათანრიგო მოთხოვნები, ხოლო მონაწილეთა უმეტესობამ მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა.

ვ. ციბაძე,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

„სპორტლოტო" კარგი თამაშია", — ამ სიტყვებით იწყება სიმღერა სპორტულ ლატარიაზე, რომელიც თანდათან პოპულარული ხდება. დიახ, კარგი თამაშია „სპორტლოტო", მაგრამ იგი თურმე ახალი გამოგონება არ ყოფილა. როგორც ისტორიკოსები ამტკიცებენ, იტალიაში მას 500 წლის ისტორია ჰქონია.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დიდად პოპულარულია რიცხობრივი ლატარია „49-დან 6". ამ სისტემით თამაშობენ გდრ-ში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში.

აღმოსავლეთ გერმანიაში, მაგალითად, ყველაზე დიდი სპორტული ბაზები სწორედ ლატარიის შემოსავლითაა აგებული.

სსრ კავშირში „სპორტლოტომ" უდიდესი პოპულარობა მოიხვეჭა. განვლილი ორი წლის მანძილზე 400-ზე მეტი ქალაქის მოსახლეობა ჩაება თამაშში. ამ მოკლე ხანში სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა ლატარიის შემოსავლიდან უკვე 5 მილიონ მანეთზე მეტი გამოყო სპორტული ბაზების მშენებლობისა და რემონტისთვის.

სულ რამდენიმე თვის წინ „სპორტლოტო" თბილისშიც გავიდა და მყისვე უამრავი თაყვანისმცემელიც გაიჩინა. ამ სიტყვების დადასტურება გახლავთ „სპორტლოტოს" ბოლო ტირაჟები, რომლებშიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მიიღეს მონაწილეობა. ამ ერთი თვის წინ „სპორტლოტოში" ჩაება რუსთავი, მერე მას მოჰყვა დიდი სპორტული ტრადიციების ქალაქი ქუთაისი. 1 აგვისტოდან თამაშში ჩაებმება სოხუმი, მერე ბათუმი, გორი, ცხინვალი.

# 49-დან 6

49-დან 6. თუ ცოტა ბედი გწყალობს, სულ ადვილად შეიძლება მოიგო. ლია იაშალაშვილი თბილისის 77-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეა. წლეულს მან წარჩინებით დაამთავრა მუსიკალური სკოლა. „სპორტლოტოს" მე-18 ტირაჟში ლიამ ზუსტად მოიცნო ხუთი ნომერი ერთ და სამი — ორ ბილეთზე. სულ ამ გოგონამ 2771 მანეთი მოიგო.

მართალია, ზუგდიდი ჯერ არ არის აღნიშნული „სპორტლოტოს" გეოგრაფიულ რუკაზე, მაგრამ ერთ ზუგდიდელს უკვე გაუღიმა ბედმა. პ. მაქაცარია თბილისში პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ჩამოვიდა „სოიუზპეჩატის" ერთ-ერთ ჯიხურში მან „სპორტლოტოს" 16 ბილეთი იყიდა, ერთ-ერთზე ხუთი ციფრი ამოიცნო და 2661 მანეთი მოიგო.

ე. ქურდოვანიძე საგარეჯოში სარემონტო კონტორის უფროსად მუშაობს. თბილისში მან „სპორტლოტოს" 15 ბილეთი იყიდა და თავის შვილიშვილს, პირველკლასელ დათო ნაცვლიშვილს აჩუქა. ოჯახი გაოცებული დარჩა, როცა ერთ ბილეთზე ხუთი ნომერი სწორად გადახაზული აღმოჩნდა.

ბევრი გვეკითხება: მაინც, როგორ გადავხაზოთ ნომრები ისე, რომ მოვიგოთ? 49 ნომერი ამისთვის უამრავ ვარიანტს გვთავაზობს. სცადეთ ბედი!

ბოლო ხანს ძალიან გავრცელდა კოლექტიური თამაში. ზოგან ეს არაორგანიზებულად კეთდება, ზოგს თავისი სპეციალურად მომზადებული ტრაფარეტი აქვს — მონაწილენი ექვს ერთნაირ ციფრს ამოირჩევენ და რამდენიმეჯერ ამ ვარიანტს იყენებენ.

განვლილ ტირაჟებში კოლექტიურმა თამაშმა წარმატება მოუტანა მოსკოვის № 2 ტროლეიბუსის პარკის მძღოლთა ბრიგადას, ქარხანა „მოსკაბელის" მექანიკოსებს. თითოეულმა კოლექტივმა 5 ათასი მანეთი მოიგო. ასევე გაუღიმა ბედმა ესტონეთის ბავშვთა საავადმყოფოს მუშაკებს.

თბილისის ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფმა „სპორტლოტოს" 110 ბილეთი იყიდა. თერთმეტი კაცი იყო და ყველა თავისას ამბობდა, — ყველას ჰქონდა მოფიქრებული შიფრები საკუთარი „საიდუმლო ნიშნით". ბოლოს შეთანხმდნენ და ერთ ბილეთზე გადაწყვიტეს შევსება. ეს იყო პირველი კოლექტიური თამაში ჩვენს რესპუბლიკაში და მომგებიანიც აღმოჩნდა: ერთი „ხუთიანი", სამი „ოთხიანი", ცხრა — „სამიანი". სულ 2918 მანეთი მოიგეს.

თამაში თამაშია. მოგება ბედის საქმეა. ამიტომ არა ღირს რაღაც მეცნიერული საფუძვლების ძიება, რაღაც „მომგებიანი" პრინციპებისა და კანონზომიერებათა გამოგონება. მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირში „სპორტლოტოს" ყველასთვის მოგება მოაქვს. კიდევ ვიმეორებთ: ლატარიის შემოსავალი მოხმარდება სტადიონების, აუზების, სპორტული დარბაზების მშენებლობას.

ი. ლობაჟანიძე,
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.

**ამოცანა**
**რ. თავარიანი**
(თბილისი)



შამათი სამ სვლაში.

# ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

## ჩემპიონის გვერდით

169 სმ-ზე გადებული თამასა დაძლია საქალაქო შეჯიბრებაში ორიოლის მე-8 სკოლის მეათეკლასელმა ტანია დენისოვამ. შარშან ზაფხულში, როცა ტანია რსფსრ-ს ჩემპიონი გახდა მძლეოსნურ ხუთჭიდში მოსწავლეთა შორის, მისი პირადი რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში 155 სმ იყო. და აი ახლა მან 14 სმ-ით გააუმჯობესა ეს შედეგი და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ეს მონდომებული ვარჯიშის შედეგია.

ტანიას ავარჯიშებს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ი. კრივოპუსკინა. 16 წლის სპორტსმენი უკვე უფროსების შეჯიბრებაშიც გამოდის. ტანიასთვის მაგალითის მიმცემია მისი თანაქალაქელი, საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი მძლეოსნურ ხუთჭიდში ვ. ტიხომიროვა. ერთობლივი ვარჯიშები კარგ გავლენას ახდენს ახალგაზრდა სპორტსმენის შედეგებზე.

ორიოლი.

## ოქროს ხელები

ლიეპაიას „დინამოს" ტრეკზე გამართულმა უძლიერესი საბჭოთა ველომრბოლელების შეჯიბრებამ ამ დღეებში უამრავი მაყურებელი მიიზიდა. ტრიბუნებზე დავინახეთ ერთი გულშემატკივარი, რომელიც შეჯიბრებას განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალს. ეს იყო მეთევზეთა კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" დურგალი ა. მაროტი.

ამ კაცზე ამბობენ, ოქროს ხელები აქვსო. მას ბევრი ნავი შეუკრავს, ბევრი გემი გაურემონტებია. ლიეპაიას 250-მეტრიანი ტრეკის საფარიც სწორედ ამ ოქროს ხელებმა გააკეთა, ერთი თანაშემწეც არ ჰყოლია.

ალბერტ მაროტი ამ რამდენიმე ხნის წინ დაბრუნდა თბილისიდან, სადაც ასევე ოსტატურად დააგო 400-მეტრიანი ტრეკის საფარი განსაკუთრებით მაგარი მერქნისგან.

ოსტატს სახელი მყისვე შორს გაუვარდება ხოლმე. ახლა მაროტი მოსკოვსა და ქუთაისშია მიწვეული ველოტრეკების მშენებლობაზე.

ე. კეხრისი,
ვ. კიშენკოვი.

ლიეპაია,
ლატვიის სსრ.

## სპორტული... კოლმეურნეობა

ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის თასის გათამაშების მონაწილე ფეხბურთელთა თითქმის ორ ათეულ გუნდს შორის უძლიერესნი აღმოჩნდნენ გროზნოს რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლები. მათ ფინალურ მატჩში დაამარცხეს ჩეჩენ-ინგუშეთის უნივერსიტეტის ფეხბურთელები.

კოლმეურნეობის სპორტსმენებს მარტო ფეხბურთი როდი უყვართ. პოპულარული და განვითარებულია ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ტყვიის სროლა, ველოსპორტი, ჭადრაკი, შაში.

პირველმაისელთა ნაკრები გუნდები გამოდიან რაიონის, რესპუბლიკის, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებში. კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივი ყოველწლიურად 100-მდე თანრიგოსანს ამზადებს. ბაზებიც შესაფერისი აქვთ: მეურნეობამ საკუთარი სახსრებით ააგო შესანიშნავი სპორტის სასახლე, სტადიონი, ფრენბურთის მოედნები. მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცებას კვლავაც დიდ ყურადღებას მიაქცევენ.

— სპორტისთვის ფული არ გვენანება, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ვიუჩნი. — ჩვენი მშრომელების ჯანმრთელობა ხომ საწარმოო წარმატებათა საწინდარია.

თავმჯდომარე ფიზკულტურისა და სპორტის დაუღალავი პროპაგანდისტია. იგი მარტო სიტყვას და ხელმძღვანელობას როდი სჯერდება, თავადაც კარგი ფრენბურთელი და მოჭადრაკეა. ფრენბურთელთა შეჯიბრებებში ხშირად იწვევენ მსაჯად კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანს ნ. ზარეჩნის.

გ. ნასონოვი.

დაბა პერვომაისკაია.

[illegible]

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**პრიზიორები**

მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 18-21 ივლისი. სსრ კავშირის პირველობა მძლეოსნობაში.

ქალები. რბენა. 100 მ. ნ. ბესფამილნაია (შეიარაღებული ძალები) — 11,4, ლ. ჟარკოვა („ბურევესტნიკი") — 11,5, გ. ბუხარინა (შეიარაღებული ძალები) — 11,5, 200 მ. ბესფამილნაია — 23,6, მ. სიდოროვა („ბურევესტნიკი") — 23,6, ბუხარინა — 24,0, 400 მ. ნ. ჩისტიაკოვა („ბურევესტნიკი") — 52,8, ნ კოლესნიკოვა („დინამო") — 53,0, ვ. ჩიგაევა („ბურევესტნიკი") — 53,7, 800 მ. ნ. საბაიტე — 2.01,1, ნ. მორგუნოვა (ორივე — სოფლის სპორტსაზოგადოებათა ნაკრები) — 2.01,5, რ. რუუსი („დინამო") — 2.02,1, 1500 მ. ლ. ბრაგინა („დინამო") — 4.09,8, თ. პანგელოვა (შეიარაღებული ძალები) — 4.11,3, თ. კაზაჩკოვა („ტრუდი") — 4.11,6, 3000 მ. ი. ტაბორსკაია — 9.19,8, მ. ჩერნიშოვა (ორივე — შეიარაღებული ძალები) — 9.20,0, ს. ვასკოვა („ზენიტი") — 9.22,2. 100 მეტრზე თარჯრბენი. ტ. ანისიმოვა („ბურევესტნიკი") და ლ. ხიტრინა („დინამო") — 13,6, ლ. სვეჟენცევა („ავანგარდი") — 13,7. ესტაფეტა. 4×100 მ. შეიარაღებული ძალები — 44,8, „ბურევესტნიკი" — 45,0, „დინამო" 45,4, 4×400 მ. „ბურევესტნიკი" — 3.33,0, „დინამო" — 3.33,1, „შრომითი რეზერვები" — 3.39,7. სიგრძეზე ხტომა. ლ. ილინა (შეიარაღებული ძალები) — 636, ე. რინგა („დაუგავა") — 629, ნ. პატკოვა („ლოკომოტივი") — 623. სიმაღლეზე ხტომა. ა. ლაზარევა („სპარტაკი") — 182, ვ. ჩულკოვა — 179, ტ. გალკა (ორივე — შეიარაღებული ძალები) — 179. ბადროს ტყორცნა. ფ. მელნიკი (სოფლის სპორტსაზოგადოებათა ნაკრები) — 62,38, ლ. მურავიოვა (შეიარაღებული ძალები) — 59,54, თ. დანილოვა („ზენიტი") — 57,90. შუბის ტყორცნა. ნ. მარაკინა („ტრუდი") — 60,12, ი. პუტინენე („დინამო") — 53,44, ე. ოზოლინა (შეიარაღებული ძალები) — 53,12. ბირთვის კვრა. ნ. ჩიჟოვა („სპარტაკი") — 19,17, ა. ივანოვა („ზენიტი") — 18,77, რ. ტარანდა („სპარტაკი") — 18,76.

ვაჟები. რბენა. 100 მ. ვ. ბორზოვი („ბურევესტნიკი") — 10,0, ა. კორნელიუკი — 10,2, ვ. ატამასი (ორივე — „დინამო") — 10,3, 200 მ. ბორზოვი — 20,7, ვ. ლოვეცკი („შრომითი რეზერვები") — 21,3, ვ. პანასოვი („სპარტაკი") — 21.6, 400 მ. ს. კოჩერი („სპარტაკი") — 46,7, ვ. იუდინი (შეიარაღებული ძალები) — 45,9, ლ. კოროლიოვი („სპარტაკი") — 47,1, 800 მ. ი. ივანოვი („სპარტაკი") — 1.48,9, ვ. პორივკინი („დინამო") — 1.49,2, ვ. პონომარიოვი (შეიარაღებული ძალები) — 1.49,5, 1500 მ. ვ. პანტელეი („ზენიტი") — 3.41,4, ვ. სემიაშკინი (შეიარაღებული ძალები) — 3.42,2, მ. ულიმოვი („ბურევესტნიკი") — 3.42,4, 5000 მ. ნ. პუკლაკოვი („ბურევესტნიკი") — 13.48,6, ბ. ოლიანიცკი („დინამო") — 13.49,4, ბ. შტეინბრიხერი (შეიარაღებული ძალები) — 13.49,8, 10000 მ. რ. შარაფეტდინოვი („დინამო") — 28.05,2, პ. ანდრეევი (შეიარაღებული ძალები) — 28.08,4, ა. ბონდარენკო („დინამო") — 28.09,2. 3000 მ წინაღობებით. რ. ბიტე (სოფლის სპორტსაზოგადოებათა ნაკრები) — 8.30,0, ს. სკრიპკა — 8.31,0, ვ. კუდინსკი (ორივე — შეიარაღებული ძალები) — 8.32,2. თარჯრბენი. 110 მ. ვ. მიასნიკოვი — 13,7, ა. მოშიაშვილი (ორივე — „დინამო") — 14,0, ე. პერევერზევი (შეიარაღებული ძალები) — 14,0, 400 მ. ე. გავრილენკო („დინამო") — 49,2, ვ. სავჩენკო („სპარტაკი") — 49,3, ი. ზორინი („ბურევესტნიკი") — 49,7. ესტაფეტა. 4×100 მ. შეიარაღებული ძალები — 39,9 „დინამო" — 40,1, „სპარტაკი" — 40,3, 4×400 მ. „ბურევესტნიკი" — 3.06,9, შეიარაღებული ძალები — 3.07,2, „დინამო" — 3.07,9. სპორტული სიარული. 20 კმ. ვ. გოლუბნიჩი („სპარტაკი") — 1:28.54,2, ე. ივჩენკო („დინამო") — 1:29.02,4, ნ. სმაგა („ავანგარდი") — 1:29.22,2, 50 კმ. ვ. სოლდატენკო (შეიარაღებული ძალები) — 4:13.26,4, ო. ბარჩი („ბურევესტნიკი") — 4:13.53,8. ს. გრიგორიევი („ზენიტი") — 4:14.13,2. სიგრძეზე ხტომა. ლ. ბარკოვსკი (შეიარაღებული ძალები) — 806, ი. ტერ-ოვანესიანი („ბურევესტნიკი") — 794, ვ. პოდლუჟნი („შრომითი რეზერვები") — 767. სიმაღლეზე ხტომა. კ. შაპკა („დინამო") — 221, რ. ახმეტოვი („ავანგარდი") — 221, ვ. აბრამოვი („ტრუდი") — 221. სამხტომი. მ. ბარიბანი — 16,79, ვ. სანეევი (ორივე — „დინამო") — 16,75, გ. ბესონოვი (შეიარაღებული ძალები) — 16,58. ჭოკით ხტომა. გ. ბლიზნეცოვი (შეიარაღებული ძალები) — 520, ი. ისაკოვი („ტრუდი") — 520, ვ. კიშკუნი („ზენიტი") — 510. ბადროს ტყორცნა. ვ. ლიახოვი — 59,94, ვ. პენზიკოვი (ორივე — „დინამო") — 59,64, ვ. ტიტოვი („სპარტაკი") — 58,38. შუბის ტყორცნა. ი. ლუსისი — 85,28, ვ. ფელდმანისი — 80,48, ვ. ბელანი (ყველა — შეიარაღებული ძალები) — 79,32. უროს ტყორცნა. ა. ბონდარჩუკი (სოფლის სპორტსაზოგადოებათა ნაკრები) — 75,54, ვ. დმიტრიენკო (შეიარაღებული ძალები) — 73,04, ვ. ხმელევსკი — 72,82, ი. ფხაკაძე (ორივე — „დინამო") — 72,66. ბირთვის კვრა. ა. ბარიშნიკოვი — 19,68, რ. პლუნგე (ორივე — „დინამო") — 19,59, ვ. ვოიკინი („ბურევესტნიკი") — 19,21.

გუნდური შედეგები: „დინამო" — 1666 ქულა, შეიარაღებული ძალები — 1662, „ბურევესტნიკი" — 1332.

• • •

ამ ჩემპიონატში საქართველოს სპორტსმენთაგან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია ი. ფხაკაძემ (მწვრთნელი გ. მაიერი), რომელმაც უროს ტყორცნაში 72-მეტრიანი ზღვარი პირველად გადალახა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. მისი შედეგი — 72,66 მ — საქართველოს რეკორდია, რომელიც ფხაკაძისავე ძველ მიღწევას 1,14 მეტრით სჯობს.



სურათზე: ი. ფხაკაძე.
ო. გელაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიუნხენი-72

## სსრ კავშირის პირველობა

### ძუნწები, გოლები

28 ივლისს საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებმა გაასწორეს პირველი წრიდან გადმოყოლილი „ვალი“. ხათამაშო დარჩა მხოლოდ „ნეფთჩისა“ და „სპარტაკის“ მატჩი.

„დინამო“ (კიევი) — „ლოკომოტივი“ 1:0.

კიეველებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ მთელი მატჩის განმავლობაში, თუმცა გაიმარჯვეს მხოლოდ დამინის მიერ 81-ე წუთზე გატანილი ერთადერთი ბურთის წყალობით. საუცხოოდ ითამაშა „ლოკომოტივის“ მეკარე ფროლოვმა.

„დინამო“ (მინსკი) — „ზარია“ 0:0.

ჩემპიონატის ლიდერი ბეწვზე გადაურჩა მინსკში წაგებას. „ზარიას“ კარში 42-ე წუთზე სპარსოვის „მოცელვისთვის“ დაინიშნა პენალტი და მეკარე ტკაჩენკომ ლამაზი ნახტომით შეძლო ვორონინის ბურთის მოგერიება.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ნეფთჩი“ 2:1.

სამივე ბურთი შესვენების შემდეგაა გატანილი. 47-ე და 48-ე წუთებზე „ნეფთჩის“ კარში ორი ბურთი გავიდა იაკუშიკისა და ეშტრეკოვის ზუსტი დარტყმების შემდეგ. ერთადერთი საპასუხო გოლი 74-ე წუთზე გაიტანა ბანიშევსკიმ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია“ | 17 | 10 | 4 | 3 | 28—14 | 24 |
| „არარატი“ | 17 | 7 | 6 | 4 | 25—14 | 20 |
| ცსკა | 17 | 9 | 2 | 6 | 19—18 | 20 |
| „დინ.“ (მნ.) | 17 | 6 | 7 | 4 | 17—14 | 19 |
| „დნეპრი“ | 17 | 6 | 7 | 4 | 22—20 | 19 |
| „დინ.“ (თბ.) | 17 | 7 | 5 | 5 | 17—16 | 19 |
| „დინ.“ (კ.) | 17 | 6 | 6 | 5 | 24—21 | 18 |
| „ზენიტი“ | 17 | 5 | 7 | 5 | 20—19 | 17 |
| „დინ.“ (მ.) | 17 | 7 | 3 | 7 | 19—19 | 17 |
| „ტორპედო“ | 17 | 6 | 5 | 6 | 14—20 | 17 |
| „სპარტაკი“ | 16 | 6 | 4 | 6 | 20—14 | 16 |
| ცსკ | 17 | 5 | 5 | 7 | 18—20 | 15 |
| „კარპატი“ | 17 | 5 | 4 | 8 | 14—21 | 14 |
| „ყაირათი“ | 17 | 2 | 9 | 6 | 9—16 | 13 |
| „ლოკომოტ.“ | 17 | 3 | 5 | 9 | 15—23 | 11 |
| „ნეფთჩი“ | 16 | 4 | 3 | 9 | 15—27 | 11 |

### უმაღლესი ლიგა

# მეხუთე დამარცხება

დნეპროპეტროვსკი. „მეტეორის“ სტადიონი. 28 ივლისი.

„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (თბილისი) 2:1 (0:0).

„დნეპრი“: ხობეცკი, ფედორენკო, დენეჟი, ივანოვი, არტიუხი, გრინკო (პორკუიანი), შნეიდერმანი, ბოგდანოვი, პილიპჩუკი, ნაზაროვი, რომანიუკი.

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, ქელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, მეტრიაშვილი, ყიფიანი, გუცაევი, გ. ნოდია (რეხვიაშვილი), ლ. ნოდია.

მსაჯი ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 8:1 „დინამოს“ სასარგებლოდ.

თბილისის „დინამოს“ კრიზისი გრძელდება. აი, უკვე რამდენი ხანია ჩვენმა ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს მობილიზება და ხელიდან გაუშვეს საუკეთესო შესაძლებლობანი, რომლებიც წლევანდელ ჩემპიონატში ჰქონდათ.

ძნელია ბრალი დასდო კონკრეტულად რომელიმე რგოლს ან მოთამაშეს. დინამოელებმა ყველამ ერთად, თითქოს შეთანხმებულანო, მოუკლეს თამაშის კლასს და ფარ-ხმალი დაყარეს. ბოლო ხანებში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა დნეპროპეტროვსკში დებიუტანტთან წაგების შემდეგ, თუმცა ანგარიში თბილისელებმა გახსნეს.

ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას თავდასხმის თამაში. ჯერ ერთი, გატანილი გოლების მიხედვით თბილისის „დინამო“ ერთ-ერთი ყველაზე უკბილოა უმაღლეს ლიგაში. ამას გარდა, ჩემპიონატის ბოლო რვა მატჩში თბილისელებმა სულ 3 ბურთის გატანა შეძლეს მეტოქეთა კარში. ასეთი „აგრესიულობით“ შორს ვერ წახვალ. საერთოდ, ჩვენი გუნდის თავდამსხმელებზე თუ ვილაპარაკებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი პირადი მაჩვენებლები ძალიან სუსტია. „დინამოს“ მიერ გატანილი 17 ბურთიდან 9 ეკუთვნის უკანა ხაზების მოთამაშეებს და მხოლოდ 8 — წმინდა თავდამსხმელებს. მათ დნეპროპეტროვსკის მატჩშიც საფუძვლიანად „დაისვენეს“ და ბურთის გატანა ძოძუაშვილს „მიანდვეს“.

მაგრამ თავდამსხმელებს არსებითად არც სხვა ხაზების მოთამაშეები სჯობიან. საერთოდ, გუნდის ბრძოლისუნარიანობა, ფეხბურთელთა ნებისყოფა მეტისმეტად დაბალ დონეზე დგას. ეს ერთხელ კიდევ ნათლად გამოჩნდა „დნეპრთან“ მატჩში, რომელსაც 78-ე წუთამდე ვიგებდით და ამ პატარა დროში არათუ ხელიდან გავუშვით გამარჯვება, მორიგი, რიგით მეხუთე წაგებაც ვიწვნიეთ. ძოძუაშვილმა ანგარიში გახსნა 55-ე წუთზე და, ნაცვლად იმისა, რომ ბრძოლა ამ შედეგის განმტკიცებისთვის წარმართულიყო, დინამოელებმა მთლიანად დათმეს ინიციატივა, რომანიუკს და შნეიდერმანს საშუალება მისცეს გამარჯვება მოეტანათ თავიანთი გუნდისთვის.

თბილისის „დინამოს“ მთელი კოლექტივი სამართლიან საყვედურს იმსახურებს ფეხბურთის მოყვარულთაგან, რესპუბლიკის მთელი სპორტული საზოგადოებრიობისგან. გუნდის თითოეული წევრი უნდა ჩაუფიქრდეს შექმნილ მდგომარეობას, ყველაფერი გააკეთოს სამარცხვინო ჩამორჩენის გამოსასწორებლად.



# „ცსკა“ — „ტორპედო“

28 ივლისს მოსკოვსა და ლვოვში შედგა სსრ კავშირის თასის გათამაშების განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები.

ცსკა-სთან შეხვედრა მოსკოვის „ტორპედოს“ სრული უპირატესობით მიმდინარეობდა (პირველი მატჩი — 0:0). შესანიშნავად ითამაშა ახალგაზრდა ტორპედოელმა დეგტიარიოვმა, რომელმაც „ჰეტ-თრიკი“ შეასრულა — 3 ბურთი გაიტანა არმიელთა კარში. აღსანიშნავია, რომ სამივე ბურთი შესვენებამდე გავიდა. მერე პოლიკარპოვმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ერთი ბურთი გაქვითა, მეორე ტაიმში კი ტორპედოელთა თავდამსხმელმა ფეტისოვმა არმიელებს მეოთხედ დააწყებინა ცენტრიდან თამაში.

ლვოვში „კარპატიმ“ მოსკოვის „სპარტაკს“ უმასპინძლა და იმავე ანგარიშით (0:2) წააგო, როგორც პირველ მატჩში. ბურთები მასპინძელთა კარში გაიტანეს ბულგაკოვმა და ანდრეევმა.

ამრიგად, 1972 წლის თასის გათამაშების ფინალში გავიდნენ მოსკოვის გუნდები „ტორპედო“ და „სპარტაკი“. მათი გადამწყვეტი შეხვედრა ფიზკულტურელის საკავშირო დღეს — 12 აგვისტოს შედგება მოსკოვში.

## ოლიმპიური ქრონიკა

# ტრაგედია მარათონული რბენის ფინიშთან

IV ოლიმპიური თამაშები (1908 წ. 13-25 ივლისი) გაიხსნა ლონდონში, „უაიტ სიტის“ სტადიონზე. ოლიმპიადამ, რომელიც ბოლოს და ბოლოს მტკიცე გრაფიკით ჩატარდა, ერთხელ კიდევ ცხადყო სპორტის ძალა და პოპულარობა, ოლიმპიური იდეის მარადიულობა და შედეგების ზრდის უდავო ტენდენცია. 13 დღის მანძილზე გაუმჯობესდა 20 ოლიმპიური რეკორდი: 14 მძლეოსნობაში (4 მსოფლიო რეკორდი) და 6 ცურვაში (3 მსოფლიო რეკორდი). მაღალი შედეგებით დამთავრდა შეჯიბრებები მთელ რიგ სხვა სახეობებშიც.

ასრულდა ინგლისელთა დიდი ხნის ნატვრა: ბრიტანეთმა მედლების მარაგით საგრძნობლად გაუსწრო მანამდე უძლეველ ამერიკას და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში, რომელსაც იმთავითვე ყველა ქვეყანა ოფიციალურად აწარმოებდა, I ადგილი დაიკავა. მერე რა, რომ ბრიტანეთის დელეგაცია რაოდენობრივად (700-მდე სპორტსმენი) ერთი სამად, თუ მეტით არა, აღემატებოდა საფრანგეთისა და აშშ-ს ყველაზე მრავალრიცხოვან დელეგაციებს. ეს მასპინძლების კოზირი იყო მუდამ, რომელსაც ყველა ორგანიზატორი ქვეყანა თავის სასარგებლოდ იყენებდა. ისტორიას ფაქტები აინტერესებს მხოლოდ, ისინი კი ამჯერად ბრიტანული სპორტის ძლიერებაზე მეტყველებდნენ.

ყველაზე დიდი სენსაცია ინგლისელმა სპრინტერებმა მოახდინეს: მათ ბოლოს და ბოლოს დაამხეს ამერიკელთა მრავალი წლის ჰეგემონია. მასპინძლებმა ბევრ სახეობაში იზეიმეს წარმატება, მაგრამ ყველაზე დიდი ეფექტი მაინც ფეხბურთელთა ტურნირში გამარჯვებას მოჰყვა. ინგლისი ტრადიციების ქვეყანაა და ხალხიც განსაკუთრებული სასოებით უფრთხილდება ამ ტრადიციებს.

ვინ იყო ოლიმპიადის დღეებში ყველაზე პოპულარული სპორტსმენი? ვინ მოახდინა ყველაზე ღრმა შთაბეჭდილება ბუნებით თავდაჭერილ ინგლისელებზე? ბევრი გვარის ჩამოთვლა და ბევრი შესანიშნავი შედეგის მოყვანა შეიძლება. ლონდონში დიდი სიყვარულით სარგებლობდნენ სტოკჰოლმელი მამა-შვილი, მსროლელები ალფრედ და ოსკარ სვანები. იყვნენ სხვა უმაღლესი კლასისა და დიდი პირადი მიმზიდველობის მქონე სპორტსმენებიც, მაგრამ ნამდვილი სიყვარული ინგლისელებმა მხოლოდ ერთი უცხოელისთვის გაიმეტეს. მას არც ოქროს მედალი მიუღია და არც საპრიზო ადგილი. უფრო მეტიც, IV ოლიმპიადის ჭეშმარიტმა გმირმა ვერც კი დაამთავრა ასპარეზობა. და მაინც, მანამდე უცნობი სპორტსმენი გმირის უკვდავების შარავანდედით შეიმოსა.



წარმოშობით იგი იტალიელი იყო, დორანდო პიეტრი, თავმდაბალი და მუდამ მხიარული სამხრეთელი მარათონელი. იმ საბედისწერო დღეს მთელი ლონდონი ქუჩებში იყო გამოსული. ვინძორიდან ლონდონამდე უწყვეტ ჯაჭვად ჩამწკრივებული ცნობისმოყვარენი ალტაცებით ადევნებდნენ თვალს რბენას. პირობები საოცრად რთული იყო და მონაწილენიც ერთი მეორეზე ტოვებდნენ დისტანციას — ბრძოლის ველიდან პირდაპირ მაყურებლებში გადადიოდნენ. 20 კილომეტრის შემდეგ მარათონელთა რიცხვი განახევრდა. მერე კიდევ რამდენიმე სპორტსმენი გახდა შეუძლოდ. ფინიშისკენ გზას ჯიუტად მიიკვლევდნენ ღირსეულები. მათ რიცხვში იყო ჩვენი ნაცნობი იტალიელიც.

ბოლო კილომეტრებს იგი მარტოდმარტო ებრძოდა. დრო იყო მხოლოდ მისი მტერიც და მოყვარეც. სტადიონის ბილიკს იტალიელმა მარტომ დაადგა ფეხი. მეტოქეებს მთავარი პრიზის მიღებაზე უკვე ხელი ჰქონდათ ჩაქნეული — ისინი ინერციით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს და ერთი ფიქრით იყვნენ შეპყრობილნი: როგორმე დაემთავრებინათ დისტანცია. მაყურებელთა ტაშის გრიალმა იტალიელი გამოაფხიზლა. ფინიშამდე სულ რაღაც 20 მეტრი იყო დარჩენილი. რა არის 20 მეტრი, როცა გავლილი გაქვს ასჯერ, ათასჯერ მეტი და წინ სანუკვარი ფინიშია, თანაც ოქროს მედალი.

იტალიელმა ერთხელ კიდევ მოიხედა უკან. მერე მოულოდნელად წაბარბაცდა და იქვე დაეცა. სტადიონი გაინაბა. რამდენიმე ათასი წყვილი თვალი ერთ წერტილს მიაშტერდა — იტალიელი რის ვაი-ვაგლახით წამოდგა, ორიოდე ნაბიჯი გადადგა და ისევ დაეცა. ასე განმეორდა რამდენიმეჯერ. პიეტრი ნათლად ხედავდა ფინიშს და მოლიდინში მყოფ მსაჯებს, მაგრამ იმასაც ამჩნევდა, რომ უკანასკნელი ძალების მოსაკრებად ღონე არ ჰყოფნიდა. უეცრად, ამ საზარელი სურათის შემყურე ორ ალფრედის მსაჯს ნერვებმა უმტყუნა. ისინი მხარში ამოუდგნენ იტალიელს და ასე სამივემ ნელი ნაბიჯით გადაკვეთა ფინიშის ხაზი.



დორანდო პიეტრი, თითქმის ოლიმპიური ჩემპიონი, შეჯიბრების წესების დარღვევისთვის მოიხსნა, თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, მას დადგენილ მანძილზე მეტი გაურბენია (მსაჯებმა სწორად ვერ გაზომეს ტრასა და იგი ჩვეულებრივზე გრძელი აღმოჩნდა). ჩემპიონის ოქროს მედალი ამერიკელმა ჯ. ჰეისმა მიიღო, რომელიც ფინიშთან ფაქტიურად მეორე მივიდა. პიეტრიმ კი სამშობლოში წაიღო ბრიტანელთა სიყვარული და დედოფლის სპეციალური საჩუქარი — დიდი ოქროს თასი.

მაგრამ ლეგენდარული იტალიელის ოლიმპიური თავგადასავალი ამით არ დამთავრებულა. სტარტის წინ ერთ-ერთმა მდივანმა, რომელსაც ოქმის გაფორმება ევალებოდა, განაცხადში უსწოროდ ჩაწერა იტალიელის სახელი და გვარი. შეცდომა დაკანონდა და დორანდო პიეტრი ამიერიდან პიეტრო დორანდოდ გადაიქცა. პიეტრის სახელი ბრიტანეთის კუნძულებზე დიდხანს სპორტული თავგანწირვისა და ვაჟკაცობის სინონიმად იყენებოდა. და როცა 40 წლის შემდეგ XIV ოლიმპიადის ჩატარება ლონდონში გადაწყდა, ინგლისელებმა დორანდო პიეტრი საპატიო სტუმრების სიაში ჩარიცხეს. სწორედ ამ დროს პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ IV ოლიმპიადის გმირი ლონდონში ცხოვრობდა. საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალური მიწვევა მართლაც მიიღო ბირმინგემში მცხოვრებმა ვიღაც იტალიელმა მაგრამ სულ მალე დამტკიცდა, რომ ცრუპიეტრის არავითარი კავშირი არ ჰქონდა თავის ღირსეულ თანამემამულესთან. ნამდვილი პიეტრი 1942 წლის გარდაიცვალა იტალიაში.

• • •

სურათებზე: დორანდო პიეტრი ფინიშთან; სახელოვანი იტალიელი ინგლისის დედოფლის საჩუქრით ხელში.

# ჯინი, შამპანური და ცხენოსნობა

ალბათ გახსოვთ, რომ შექსპირის რიჩარდ III მთელს სამეფოს იძლეოდა ერთ ცხენში. დღეს ასეთი რამ შეუძლებელია ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ მეფეები თავიანთ ქვეყნებს ერთპიროვნულად ვერ განაგებენ, და მერე, არსებობს მგზავრობის გაცილებით სრულყოფილი ფორმები. მაგრამ ცხენი ჩვენს დროშიც საკმაოდ ძვირი ღირს...

რამდენიმე წლის წინ ერთმა დასავლეთგერმანელმა ცხენოსანმა ჰ.-გ. ვინკლერმა თავისი კოლეგისგან კ. ვაგნერისგან ითხოვა ცხენი „ტერმინუსი“ და ბრწყინვალედ მოიგო რომელიღაც ასპარეზობა ამერიკის შეერთებულ შტატებში. როცა ვინკლერმა ამ ცხენის ყიდვა განიზრახა, მას... 400000 მარკა მოსთხოვეს.

ცხადია, ასეთი თანხა არც ვინკლერს ჰქონდა და არც გფრ-ის ოლიმპიურ კომიტეტს. არადა, ხმა გავარდა, რომ „ტერმინუსს“ თვალი დაადგეს ამერიკელებმაო. აი, სწორედ მაშინ ვინკლერს „დახმარების“ ხელი გაუწოდა დასავლეთგერმანელმა ფაბრიკანტმა, ალკოჰოლიანი სასმელებით მოვაჭრე ფირმის პრეზიდენტმა ვილჰელმ მასტმა. იგი დათანხმდა ვინკლერისთვის მიეცა 330 ათასი მარკა, თუ ნაყიდ ცხენს „ტერმინუსის“ ნაცვლად „ეგერმაისტერს“ დაარქმევდნენ („ეგერმაისტერი“ სახელწოდებაა ინგლისური ჯინისა, რომელსაც მასტის ფირმა ამზადებს).

ერთხელ დუბლინში „ეგერმაისტერმა“ ფეხი მოიტეხა. ვინკლერმა კი უბედურება დაუყოვნებლივ აცნობა მასტს, რომელმაც მოითხოვა ცხენისთვის ძველი სახელი დაებრუნებინათ.

ანალოგიური ამბავი მოხდა საფრანგეთშიც. ცნობილი სპორტსმენის პ.-ჟ. დ'ორიოლას ცხენი „მორნინგ ლაიტი“ ერთ მშვენიერ დღეს „მოე-შანდონად“ მოინათლა („მოე-შანდონი“ შამპანურის ცნობილი ფირმის სახელწოდებაა). მაგრამ, როგორც კი „მოე-შანდონმა“ რამდენიმე რბოლა წააგო, მას ძველი სახელი დაუბრუნეს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ე. ბრენდეჯი შეურიგებლად ილაშქრებს საცხენოსნო სპორტში სარეკლამო ბიზნესის წინააღმდეგ. იგი კატეგორიულად წინააღმდეგია რბოლებში გამარჯვებულთათვის პრემიის სახით ავტომანქანებისა და სხვა ძვირფასი ჯილდოების გადაცემისა. ბრენდეჯმა მკაცრად გააფრთხილა საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაციები: მიუნხენში ყველა ცხენი თავისი პირვანდელი სახელით უნდა გამოვიდესო.



# „გოგონა - სასწაული“

არც ისე დიდი ხანია საერთაშორისო სარბიელზე გამოჩნდა ახალგაზრდა ამერიკელი ჩოგბურთელი, 17 წლის კრისტინა ევერტი. ამ ნიჭიერ სპორტსმენს განსაკუთრებით მას შემდეგ გაუვარდა სახელი, რაც „უაიტმენის თასის“ გათამაშებაში უძლიერესი ინგლისელი ჩოგანი ვირჯინია უეიდი დაამარცხა. სწორედ მაშინ უწოდეს ევერტს „გოგონა-სასწაული“. ამას წინათ დამთავრებულ უიმბლდონის ტურნირში საკვალიფიკაციო განთესვის მიხედვით იგი მეოთხე ნომრად მოაქციეს. ევერტმა საკმაოდ წარმატებით ითამაშა და ნახევარფინალს მიაღწია. აქ იგი შეხვდა უიმბლდონის შარშანდელ ჩემპიონს, ავსტრალიელ ივონა გულაგონგს და ნწვავე ბრძოლაში წააგო — 6:4, 8:6, 4:6.

ასეა თუ ისე, ევერტს ჩოგბურთის სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

• • •

სურათზე: ქ. ევერტი თამაშის დროს.

„მორნინგ სტარის“ (ლონდონი) ფოტო.

# ქვარტეტი ცნობილია

ტეხასის შტატის ქალაქ სან-ანტონიოში დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. ქვეყნის ჩემპიონობა ზედიზედ მესამედ მოიპოვა 27 წლის ჩ. რიჩარდსმა — 5212 ქულა. მანამდე არც ერთ ამერიკელ ხუთჭიდელს ასეთი წარმატებისთვის არ მიუღწევია. წარსულში რიჩარდსი შესანიშნავი მოცურავე იყო და ამ სახეობაში ეკუთვნის თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა შორის მსოფლიოს უმაღლესი მიღწევა. მაგრამ იგი დანარჩენ სახეობებშიც საკმაოდ ძლიერია საიმისოდ, რომ მიუნხენში ოლიმპიური მედლისთვის იბრძოლოს.

II ადგილზე გავიდა ს. ტეილორი — 5147 ქულა. განსაკუთრებით წარმატებით იასპარეზა მან მძლეოსნურ კროსში (12.13,4) — უახლოეს მეტოქეს 33 წამით აჯობა, ჩემპიონ რიჩარდსს კი 58 წამით.

ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ჯ. ფიცჯერალდი — 5006 ქულა. IV ადგილზეა ლ. დრამი, რომელიც ოლიმპიურ გუნდში სათადარიგო წევრადაა ჩარიცხული.

## ახალი ამბები

● დნეპროპეტროვსკი, 27 ივლისი. ი. გაგარინის პრიზზე ბადმინტონისტთა აქ გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში გაიმარჯვეს: ქალთა შორის — დნეპროპეტროვსკელმა ი. შევჩენკომ (ნატაროვა), ვაჟებში — კიეველმა ვ. შვაჩკომ, წყვილებში — კ. ვავილოვმა და ნ. პეშეხონოვმა (ორივე — დნეპროპეტროვსკი), შევჩენკომ და ნ. კოსიაკმა (კიევი), შერეულ წყვილებში — შვაჩკომ და კოსიაკმა. გუნდური პრიზი დნეპროპეტროვსკელებს ხვდათ.

● ლვოვი, 28 ივლისი. ადგილობრივ ცირკში მოწყობილ რინგზე მიმდინარეობს რკინიგზელი მოკრივეების ევროპული ჩემპიონატი. სსრ კავშირის პირველობის პრიზიორმა ა. პუტინცევმა (51 კგ-მდე) სძლია რ. შტილერს (გდრ), ხოლო ვ. პერეპელიცამ (მჩატე წონა) აშკარა უპირატესობით აჯობა რ. გრესიას (პოლონეთი). ლვოველმა ი. ტხოროვსკიმ (63,5 კგ-მდე) საინტერესო ბრძოლაში დაამარცხა ნ. გროზევი (ბულგარეთი).

## მინიმალური ანგარიშით

ხარკოვი, 28 ივლისი. ადგილობრივმა „მეტალისტმა“ აქ გამართულ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ანგარიშით 1:0 დაამარცხა კუბის ნაკრები.

მანამდე კუბელი ფეხბურთელები ლენინგრადში შეხვდნენ ადგილობრივ „დინამოს“ და ისევ ერთი ბურთის სხვაობით წააგეს მატჩი — 1:2.

## ხუმარა

### როცა კარატე გეხმარება...

18 წლის ინგლისელმა ქალიშვილმა ბირლ ჯოუნსმა ნაძლევი დადო: ღამით მარტოკა ვისეირნებ სოხოს ქუჩებშიო. სოხო კი ლონდონის კვარტალია, რომელიც ცოტა არ იყოს საეჭვო რეპუტაციით სარგებლობს.

ჯოუნსმა სანაძლეო მოიგო, თუმცა სეირნობის დროს მას სამჯერ დაესხნენ თავს. ამ სუსტმა გოგონამ — 50 კილოგრამს იწონის — სამივე თავდამსხმელთან ჭიდილში გაიმარჯვა. ბანდიტები რას იფიქრებდნენ, თუ მათი თავდასხმის ობიექტი კარატეში ლონდონის უნივერსიტეტის ჩემპიონი იყო.

### ... და ძიუდო ვერ გიშველის

58 წლის ფრანგ ქალს იზოლ ვასტონს მოსამართლემ ფულადი ჯარიმა დააკისრა... მეტისმეტი ფიზიკური ძალისთვის.

ჭეშმარიტად ათლეტური აღნაგობის იზოლ ვასტონს აშკარად არ მოუვიდა თვალში ერთი გამვლელი, რომელიც მისდამი ზედმეტ ყურადღებას იჩენდა. „ორმხრივი თავაზიანობა“ იმით დამთავრდა, რომ ვასტონმა ერთის დარტყმით დასცა ტროტუარზე თავისი „თაყვანისმცემელი“, რომელიც ძიუდოს მასწავლებელი აღმოჩნდა.

# მიუნხენი — გფრ-ის საფეხბურთო ცენტრი

თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპის ჩემპიონი გფრ-ის ნაკრები გუნდი გახდა, ხოლო ორი წლის შემდეგ ამ ქვეყანაში მოეწყობა მსოფლიო პირველობა, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა შორის გფრ-ის ჩემპიონს განსაკუთრებული მდგომარეობა უჭირავს. მით უმეტეს, რომ მიუნხენის „ბაიერნი“ ქვეყნის ეროვნული ნაკრების ბირთვს წარმოადგენს (მეკარე მაიერი, მცველები შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, ბრაიტნერი, თავდამსხმელები მიულერი, ჰიონესი).

ბევრ სპეციალისტს და მიმომხილველს უქია დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები. საყოველთაო აღიარებით, გფრ-ის 1 ლიგა ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში, ზოგიერთს კი მიაჩნია, რომ „ბუნდესლიგას“ ამჟამად ბადალი არა ჰყავს დედამიწის ზურგზე.

დასავლეთგერმანული ფეხბურთის აღმავლობის პერიოდად თვლიან 60-ანი წლების მეორე ნახევარს და 1970-72 წლებს. სწორედ ამ აღმავლობის წლებში დაუბრუნდა „ბუნდესლიგას“ მიუნხენის „ბაიერნი“ და 1969 წელს ჩემპიონობაც მოიპოვა (დიდი ხნის წინ — 1932 წელს „ბაიერნი“ გერმანიის ჩემპიონი იყო). 1969 წელს „ბაიერნის“ გამარჯვება სენსაციად არ მიუჩნევიათ, ვინაიდან მის შემადგენლობაში თამაშობდნენ ფ. ბეკენბაუერი, გ. მიულერი, ზ. მაიერი და რამდენიმე სხვა პირველხარისხოვანი ფეხბურთელი. „ბაიერნი“, გარდა ამისა, ხუთჯერ გავიდა თასის გათამაშების ფინალში და ხუთივეჯერ მოიპოვა პრიზი (უკანასკნელად ეს შარშან მოხდა).

წლევანდელი სეზონი „ბაიერნმა“ არასტაბილურად დაიწყო. დაწინაურდა გელზენკირხენის „შალკე 04“, შემდეგ —მენხენგლადბახის „ბორუსია“, სადაც საუკეთესო დასავლეთგერმანელი მოთამაშეების მთელი ჯგუფია წარმოდგენილი (ნეცერი, ვიმერი, ზილოფი, ჰაინკესი, ვლოკა, ფოჰტსი). კომენტატორები „ბაიერნის“ ამ კრიზისს იმით ხსნიდნენ, რომ წინა სეზონში კლუბის ხელმძღვანელობა გამოეთხოვა გამოცდილ ვეტერანებს ოლკს, პუმს, ოლჰაუზერს, კუპფერშმიდტს, ბრენინგერს, კოზარს, შმიდტს. მათს ადგილზე მოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელმაც ბეკენბაუერისა და მიულერის დახმარებით შეძლო კოლექტივის ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება.

„ბაიერნის“ თანამედროვე ყაიდის გუნდად გარდაქმნას ენერგიულად ხელმძღვანელობს 37 წლის მწვრთნელი უ. ლატეკი. იგი პროფესიით ფიზაღზრდისა და ინგლისური ენის მასწავლებელია, თამაშობდა ფეხბურთს, იყო მძლეოსანი, ხუთჭიდშიც მიაღწია კარგ შედეგებს და საბოლოოდ გფრ-ის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ჰ. შიონის ასისტენტად იქცა. იგი ეხმარებოდა შიონს მექსიკაში და იქიდან დაბრუნების შემდეგ „ბაიერნი“ ჩაიბარა. ლატეკის საუკეთესო აღმოჩენად ითვლებიან მცველები ბრაიტნერი და შვარცენბეკი, თავდამსხმელი ჰიონესი. მწვრთნელმა გუნდში მოიყვანა ახალი თაობის სხვა მოთამაშეებიც: ჰოფმანი, შნაიდერი, ზაიფერტი, ზობელი, კრაუტჰაუზენი, რიბარჩიკი.

„ბაიერნმა“ 1971-72 წლების სეზონში გოლების გატანის დიდი უნარი გამოიჩინა — 12 მატჩი მიუნხენელებმა 5 ბურთის სხვაობით მოიგეს, სულ კი მეტოქეთა კარში 101 (!) გოლი გაიტანეს. აქედან 40 ბურთი „სნაიპერთა მეფეს“, 26 წლის მიულერს ეკუთვნის. სნაიპერთა სიაში მეორე ადგილზე მყოფ ფიშერს („შალკე 04“) მხოლოდ 22 ბურთი აქვს გატანილი.

„ბაიერნის“ წარმატებაში დიდი როლი ითამაშა 26 წლის ცენტრალურმა მცველმა ბეკენბაუერმა, თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთმა მშვენებამ. ბეკენბაუერის დახმარებით მაღალი კლასის მცველებად იქცნენ 24 წლის შვარცენბეკი და 20 წლის ბრაიტნერი. დაცვაშივე თამაშობს 28 წლის ჰანსენი. ნახევარდაცვაში გუნდს ტოლფასოვანი, მებრძოლი ფეხბურთელები ჰყავს: 26 წლის როტს საუკეთესო ფიზიკური მონაცემები აქვს, 23 წლის ზობელი მხოლოდ წლეულს გახდა პროფესიონალი მოთამაშე, მაგრამ უკვე ოსტატურად დირიჟორობს მინდვრის შუაგულში. ზიუნკოლცი და კრაუტჰაუზენი 25 წლისანი არიან, თანაბარი შესაძლებლობების გამო ისინი ხშირად ცვლიან ერთმანეთს მინდორზე. თავდასხმაში მიულერს გვერდს უმშვენებს 24 წლის მარცხენა ვარემარბი ჰოფმანი.

ცალკე უნდა ითქვას დასავლეთგერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავზე, 20 წლის მოყვარულ ფეხბურთელზე ჰიონესზე, რომლის თამაშმა გფრ-ის ნაკრებ გუნდში უმაღლესი შეფასება მიიღო.

მიუნხენის „ბაიერნისთვის“ წლევანდელი სეზონი უხვმოსავლიანი გამოდგა: 24 გამარჯვება, 7 ფრე და მხოლოდ 3 წაგება, ბურთების შეფარდება 101:38, ქვეყნის ჩემპიონის ტიტული და... მიუნხენის ახალი ოლიმპიური სტადიონი, რომელიც „ბაიერნის“ ახალ ბაზად იქცევა. ამ მინდორზე 16 სექტემბერს გფრ-ის ჩემპიონი მომავალი სეზონის პირველ მატჩს ითამაშებს.

ა. რონდელი.



• • •

სურათზე: მომენტი გფრ-ის ჩემპიონატის ბოლოსწინა, 33-ე ტურის მატჩიდან დორტმუნდის „ბორუსიასა“ და მიუნხენის „ბაიერნს“ შორის (გაიმარჯვა „ბაიერნმა“ — 1:0). მიუნხენელთა ცენტრალური თავდამსხმელი გერჰარდ მიულერი (თეთრ მაისურში) ხანიფათოდ უტევს „ბორუსიის“ კარს. მარცხნივ — დორტმუნდელთა კაპიტანი, მცველი კურატი. მეორე მცველმა ანდრეემ ორივე ხელი ჩასჭიდა მიულერს, მეკარე რინიო კი ბურთის მოგერიებას ცდილობს.

## ბესტი დაისაჯა

წინა ნომერში ვიუწყებოდით ცნობილი ფეხბურთელის ჯ. ბესტის „მანჩესტერ იუნაიტედში“ დაბრუნების შესახებ.

კლუბმა მკაცრი ზომები მიიღო მის წინააღმდეგ. გუნდის მწვრთნელმა ფ. ო'ფარელმა განაცხადა: „ბესტმა გუნდი დატოვა სეზონის დასასრულს, უღალატა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებსაც და პრესაში უპასუხისმგებლო განცხადებებს აქვეყნებდა, ამიტომ კლუბის ხელმძღვანელობამ და მე გადავწყვიტეთ დავსაჯოთ იგი. ბესტი 400 გირვანქა სტერლინგს დაკარგავს და სეზონისწინა ოთხ საწვრთნელ შეხვედრაში ვერ ითამაშებს. სეზონი 12 აგვისტოს იწყება და ბესტმა ბევრი უნდა იმუშაოს, რათა კვლავ მოიპოვოს პირველ გუნდში თამაშის უფლება“.

კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ბესტი საცხოვრებლად გადაყვანილია „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთ-ერთი მწვრთნელის პ. კრერანდის ბინაში, სადაც „უნდა ისწავლოს რეჟიმი და დროზე ძილი“.

ბესტმა საპასუხოდ განაცხადა, რომ თავს არ დაზოგავს, რათა პირველივე შეხვედრებში კვლავ საუკეთესოდ ითამაშოს.

## საკუთარი ინფორმაცია

რედაქტორი მ. კაკაბაძე.


„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)



სსრ კავშირის პირველობა

„დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი)

31 ივლისი

სათადარიგო შემადგენლობანი

1 აგვისტო

ძირითადი შემადგენლობანი

მატჩების დასაწყისი 19 ს. 30 წთ.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა: აბონემენტებზე — 30-31 ივლისს 12-დან 19 საათამდე. საერთო გაყიდვა — 1 აგვისტოს 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.


ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 10168